

რედაქცია
 გოლოვინის პრესვერ ზე თავ. მუხრან-ბა-
 ტონის სასწრაფო კლუბის ქვემოლ.
 ხელის-მოწერა
 მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში,
 ქუთაისში: ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გა-
 რეშე მცხოვრებთა ადრესი: ВЪ Тиф. лист.,
 ВЪ редакцію «Дროба»
 «დროების» ფასი
 მთელი წლისა... 9 მ. სამის თვისა... 3 მ.
 ექვსის თვისა... 5 მ. ერთის თვისა... 1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორ შაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
 დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპიტალი. ასო-
 მთავრულით ასოზე ნახევარი კაპიტალი ჩვეულებ-
 რივის ასოთი სტრიქონზე არაჟანა. —
 თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია კაპი-
 ტალს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხად-
 ნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რე-
 დაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.
 განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და
 სხვა ენებზედ.
 ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შური

«დროება» პირველის ივნისი-
 დამ წლის დამლევაძე ღირს ექვსი
 (6) მანათი.

სტატისტიკა

კაბარბურლი. 25 მაისი. „Новос-
 тн“ გატეობინებს, რომ პუტილოვის
 ქანხანა, რომელიც ამ ცოტა ხანში დაი-
 წო, სასწრაფო საზოგადოებაში ყოფილა
 შეტანილი 30,000 მან. ზარალი კი
 70,000 მანეთამდე არისო.
 გუშინ მოხდა წაღობის აქტი ალექ-
 სანდროვის ღიჯეში. დასრულეს ვურსი
 26 სტუდენტმა. მათგან თერთმეტი
 მეცსრე კლასის ჩინით გამოუშვეს.
 ბუჭეტით გამართული მატარებელი,
 რომელნიც შემსდგარნი იქნებან მარტო
 პირველი კლასის გაგზავნით, ნიკოლაე-
 ვის გზაზე დაწესებულ სიარულს 10
 ივნისიდან.
 ღვს მოსკოვიდან მობრუნდა ფინანსთ
 მინისტრი.

მოსკოვი. ხელმწიფე იმპერატორმა
 გასცა მოსკოველი დარბებისთვის 50,000
 მ. (ხუთასი თუმანი).

ხვალ უნდა აკურთხონ მანსკოვის ტა-
 ძარი, დღეს ღატკასუდ დიდი ხალხი
 შეიყარა. ხვალ ათას ნახევარზედ პირ-
 ვეულად ჩამოჰყარენ ზარს და შეიყრებან;
 მოსუტეულნი, რომელთაც 1812, —13-ს
 და—14-ს წლების ომებში მიუღიათ
 მონაწილეობა, გენარლობა, დიპლომა-
 ტური კონაუსი, სამდგელეობა და ჯარი.

«დროების» ფელტონი 27 მაისი.

ჩინს ლიტერატურულ კითხვას- რეპაზად.

(წერილი რედაქციისადმი)

პირველს წერილში «ძველი და ახა-
 ლი თაობა» ბატ. შიკაშვილის შე-
 ხედულობა მწერლობაზე ჩვენ ვაღვი-
 რეთ შესანიშნავ მოვლენად. იქნება
 ბ. შიკაშვილზე ჩვენ ხმაც არ ამო-
 გველო, თუ კი მარტო ის იქმნებო-
 და მწერლობითის კეთილ-წესიერების
 წარმომადგენელი. მაგრამ საქმე ის
 არის, რომ შიკაშვილს გვერდით
 მრავალნი სხვანი უდგანან. ეს კიდევ
 არაფერია. სამწუხაროდ, თვით ახალ-
 გაზრდაშიც კი მოაზრებებიან ისეთ-
 ნი პირნი, რომელნიც დასდგომიან
 ყალბს მიმართულებას და ამ
 უკანასკნელში ჰპოვებენ ჩვენს მწერ-
 ლობის დანიშნულებას, მის საგანს.
 ბი. მაგალითიც: სერგეი მესხის პატივ-
 საცემად გამართულს ნადიმობაში მო-
 ნაწილეობა მიიღო ახალ-გაზდა მწე-
 რალმა მლ. მიქელაძემ, რომელმაც
 თავის სიტყვაში შემდეგი ქება უძღვნა
 სერგეი მესხს:
 «სერგეი მესხი იყო ისეთი პირი ჩვენს
 მწერლობაში, რომელიც თითქმის

არხანგელსკი. „ხელმოწერას“ გამ-
 შანიისა, მაიმასსუდ, ორი სასდიდა
 გადაწხა; სხვა სულ გადაიწვა. ზარალი
 750,000 მანეთისა. სასწრაფად იყო შე-
 ტანილი 600,000 მანეთში.

მოსკოვი. უმაღლესი რუსეთში,
 რომელითაც ასალი დროშები ებოძათ
 „სიმიონოვის და პრეობრაჟენსკის (ფე-
 რის ცვალებას) პოლკებს თავება შემდეგი
 სიტყვებით: კასრგებლობ ამ შესანიშნავი
 დღით, როდესაც ვაღვასწავლობთ პირ-
 ვეულ მონაგის ჯარის დაწესებას რუსეთ-
 ში, რომ განუცხადო ჩემი გულისათადი
 მადლობა რუსეთის ჯარს მთლად, რომ
 მელმაც თავისი ერთგულებით ტასტისა
 და მამულისა ამ ორსა წლის განმავ-
 ლობისა განამდიურა და ადიდა რუსეთის
 სასული. მათი დიდგულება დაწესებუ-
 ლია, რომ რუსეთის ძლევა მოსილი
 ჯარი ყოველთვის ისე ერთგული და
 თავ-დადებული იქნება, როგორც აქამდე
 იყო.

ნიკოლაევი. ალექსეის ასლა-მასლა
 კალია გახდა. საჭიროა ჯარი მოაშუ-
 ღონ.

თბილისი, 25 მაისი.

წინა-წერილში ჩვენ ვაჩვენეთ მკი-
 თხველს, რომ ბაქო-თბილისის რკი-
 ნის გზის აშენებას ბევრით უფრო მე-
 ტი ხარჯი მოუწდა, ვიდრე უნდა
 მონდომოდა. რასაკვირველია, ბევრ

წლის განმავლობაში, ახსლავდა სხვა-
 და-სხვა გვარ მომქმედ მამულის შეიღებს,
 ათახსმებდა წინააღმდეგ მიმართულებებს
 და გარს შემოიკრებდა ყველას, ვისაც კი
 თავის ქვეყნისათვის გაღებით ან სიტყვით
 დახმარება სურდა. ეს შესანიშნავი, დიდად
 დასაფასებელი ხასიათი და ნიჭია ჩვენს
 კსლანდელს მდგომარეობაში». («დროე-
 ბა», № 86).

მლ. მიქელაძემ თავისი პოლიციუ-
 რი შეხედულობა მწერლობაზე უფრო
 ცხადად გამოთქვა ორს თავის წე-
 რილში, სადაც კრიტიკულად არჩე-
 და ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ
 შრომას. წერილები დაბეჭდილნი იყ-
 ნენ ოფიციალურ «Кавказ»-ში. (ის
 ნომრები ეხლა ხელში არა გვაქვს). იქ
 ახალ-გაზდა კრიტიკოსი, რომელსაც,
 ვგონებ, უფრო შემეფნის სხვა ორგა-
 ნომში მოღვაწეობა, ბ. ი. ჭავჭავაძის
 ღირსებად იმასაც სთვლიდა, რომ
 თავის კალამი არაოდეს არ უხმარნია,
 რათა ცხოვრებაში შეეტანა განხეთ-
 ქილება წოდებათა შორის, ჭავჭავაძე
 ყოველთვის სცდილობდა სხვა-და-სხვა
 წოდების წარმომადგენელთა შორის
 მშვიდობიანობა და თანხმობა დაე-
 წერგოა. მართლად შენიშნა კრიტი-
 კოსმა ბ. ჭავჭავაძის მიმართულება.
 მადაკითხეთ მაგ., «ცხოვრება და კა-
 ნონი» და დარწმუნდებით, რომ ბ.

ხარჯს თან მოჰყვა ფასების მომატე-
 ბაც, როგორც მოგზაურებისათვის
 ისე საქარლის გადატან-გადმოტანი-
 სათვის. თუმცა წესდების ძალით ჩვენს
 რკინის გზაზედაც ისეთივე ტარიფი
 უნდა იყოს, როგორც რუსეთში, მაგ-
 რამ გზათა მინისტრს შეუძლიან დრო-
 ებით ეს ტარიფი 50 პროცენტით,
 ანუ ერთ-ნახევრად გაადიდოს; და გა-
 ინნა თუ არა ბაქო-თბილისის რკინის
 გზა, ხსენებული 50 პროცენტი თან
 მოჰყვა და ვინ იცის ეს ტარიფის აწე-
 ვა მართლა დროებითი იქნება, თუ
 სამუდამო!

ჩვენ არ ვიცით რა საბუთები წა-
 რადგინა რკინის გზის გამგებამ ასე
 ერთბაშად ფასების აწევისათვის და
 მართლა შესაწყნარებელი იყო ეს სა-
 ბუთები, თუ არა; ვიცით მხოლოდ,
 რომ რკინის გზის ბილეთები ისე ძვი-
 რადა ღირს, რომ ზოგიერთი ხელ-
 მოკლე კაცი ჭურგონით სიარულს
 არჩევს რკინის გზით სიარულს.
 მაგალითად, მესამე კლასის ბილეთი
 ბაქოდამ თბილისამდე ღირს 11 მან.
 და 11 კაპ., როდესაც მალაკები და
 სხვა მეფურგუნები კაცზე ხუთ მანა-
 თილამ ერთ თუმანამდე იღებენ. ვინ
 იტყვის, ვისაც კი პატარა სული უდ-
 გია, ის ვაგონით სიარულს არჩევს
 ფურგონს და ბოლოს მოგებაშიაც
 დარჩება, თუ თავის მოცდენას იანგა-
 რიშებს, მაგრამ ხშირად ჩვენი გლეხ-

ჭავჭავაძის იდეალს შეადგენს მშვი-
 დობიანობა და თანხმობა სხვა-და-სხვა
 წოდების წარმომადგენელთა შორის,
 ურთიერთობითი კეთილ-წესიერება.
 პუბლიცისტი სცდილობს (როგორ
 ასრულებს ეს სულ სხვა) დაამტკი-
 ცოს, რომ ბატონსა და გლეხს შო-
 რის საკამათო არა არის-რა. რომელ-
 ნიც საკამათოს რასმე ჰპოვებენ, ამბო-
 ბენ, რომ ერთი წოდება დაჩაგრუ-
 ლია მეორესაგან, «ტენ-თხელობას»
 იჩენენ, «ბაძვით სულდგმულობენ»
 («ივერია» 79 წ. № 1, გვ. 114). თქვე-
 ნი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ
 როდეს მე გადავიკითხე «ცხოვრება და
 კანონი», იმ წამსვე მომავიწყდა წარ-
 სულ საუკუნის პოლიციისტების სწავ-
 ლა. ისინიც სწორედ იმას ამბობდენ,
 რასაც ეხლა ვასწავლის ჩვენს მწერ-
 ლობის პატრიარქი.

წინად ბ. ჭავჭავაძე სხვა გზას ადგა,
 სხვა მიმართულებას ემსახურებოდა.
 მაშინ იმან კარგად იცოდა ვინ არის
 «ბედში მყოფი» და ვინ «ბედისაგან
 დაჩაგრული». აკი ამისათვის ამას მღე-
 როდა:
 «რომ ბედში მყოფი უნ კმად მიგანდეს,
 ეგ ვერაფერი სიყვარულია;
 სიყვება ის არის, ვაცს ის უყვარდეს,
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია»

კაცი ამ ანდაზით ხელმძღვანელობს
 ხოლმე: «დღევანდელი კვერცი მირ-
 ჩენია ხვალინდელ ქათამსაო», ვხა-
 რება მეტის ფულის გაღება, ან არ
 შეუძლიან და ამიტომ ხშირად ვართ
 მოწამე ამ გვარის სურათისა: მიჰქრო-
 ლავს რკინის გზის მატარებელი და
 იქვე გვერდით ტაატით მიღოლავს და-
 ტვირთული ურემი. მატარებელიც
 და ურემიც ერთსა და იმავე მხარეს მი-
 დიან, ხშირად ერთსა და იმავე ქალაქ-
 ში, მაგრამ ჩვენს გლეხ-კაცს თავის
 ლომა-კამბეჩი ურჩევნიან ორთქლით-
 მქმინავ მაშინას. იქ ოფლით-მოგე-
 ბული ფული უნდა გაილოს, და კამ-
 ბენს კი გამოშვებისა და ძონის მეტი
 არა უნდა-რა. თითონ პატრონიც
 ერთ ხუთს პურს გამოიკრავს ჩოხის
 კალთაში და საგძალიც მზადა აქვს.

ნუ გეგონებთ,—ჩვენი გლეხ-კაცი
 მართლა ისეთი უფუნური იყო, რომ
 სამი-ოთხი დღის მოცდენას არ მოე-
 რიდოს და თუ მართლა ფული აქვს,
 რკინის გზის მატარებელით გაფრენა
 არ ამჯობინოს, მაგრამ ამ საქმეში
 ხელს უშლის მას ზემო-ხსენებულ სი-
 ძვირის გარდა სრული უცოდინარო-
 ბა რკინის გზაზედ მოგზაურობის წე-
 სებისა. ბილეთ მთელი ჩვენი რკინის
 გზა და მაჩვენეთ იმისთანა ვოგზალე-
 ბი, სადაც მაგ. ეს წესები ქართულად
 იყოს გამოცხადებული. შევლოვან ქარ-
 თველ კაცს წინ დახედება მისთვის

ბქ მეტია ვუჩვენეთ მკითხველს—
 როგორ და რომელს მიხეზის გამო-
 ჩვენმა პატრიარქმა გვერდზე მიადლო
 «ბედისაგან დაჩაგრულების» დროშა
 და შეუდგა საოცარ პარადოქსის და-
 მტკიცებას „თავად-აზნაურობას დღე-
 ვანდლამდე თითქმის მარტო. ის უპი-
 რატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის
 წიგნში ბრწყინვალეობად იხსენიებოდა,
 გლეხი კი არაო“ («ივერია», იქვე
 გვ. 111) ამ გვარ მიმართულებას თან
 მოსდევს მიუცილებელი შედეგი—სა-
 ზოგადოების თვალების ახვევა, გან-
 სვენებით ძილი მაშინ, როდესაც
 საჭიროა ცხოვრების ძველის წყო-
 ბილების შეცვლა, გადაკეთება. «ბედ-
 ში მყოფობა» და «ბედისაგან და-
 ჩაგრულობა» დიდის ზოლით და ხა-
 ზით არის გავლებული ჩვენს წარსულს
 და აწინდელს ცხოვრებაში და რო-
 დესაც ამ გვარის წეს-წყობილობის
 უარყოფობას უწოდებენ «ტენ-თხე-
 ლობას», მაშინ თქვენი წინააღმდეგ-
 ნი, ჩემო მკითხველო, პოლიციური
 სამსახურს უწევენ საზოგადოებას, სხვას
 არაფერს. მნა ჩაიკმინდეთ, მეორას
 ბაძი რას გამოგვადგება, ჩვენში უფ-
 რო სამართლიანად არის განწყობი-
 ლი ცხოვრებაო, მეტყველობენ პო-
 ლიციურის დასის მწერლები, მს რომ

უცნაურ ენაზედ განცხადება და ვაი იმას თუ რაც ამ განცხადებაშია მოხსენებული, არ შესაულოა! ამ დანაშაულისთვის მოვლის ღირსება-გინება, ხშირად ცემა-ტყეპაც. იქნება სთქვათ—სხვას სთხოვოს ვისმე და აუხსნიანო. თუ ასე მიპასუხებთ, გეტყობათ არა გეკოდნათ, რა ამბები ჰხდება ხოლმე რკინის გზის სტანციებზედ. რომელი უცხო კაცი მიაკცევს ყურადღებას ვილაც დაზრანძულ გლეხ-კაცის ლიპინს და რკინის გზაზედ მოსამსახურენი ზომ უფრო რად იკადრებენ. იქ, უხვირო თეკლათის ან შოთის სტანციის უფროსს—თავის თავი ხელმწიფე ჰგონია და უბრალო «ვესოვშიკსაც» სიტყვის შებრუნებას ვერ გაუბედავ!

მართის სიტყვით, ჯერ ჩვენი დაბალი ხალხი ისე ვერა სარგებლობს რკინის გზებით, როგორც უნდა ესარგებონა, და ამაში დამნაშავე თითონ რკინის გზის გამგებანა, რომელსაც შეეძლო და ვალიცა ჰქონდა ყურადღება მიექცია მოგზაურების მოთხოვნილებათათვის და მათის ასრულებით თითონაც მოგება ენახა და სახელმწიფოსათვისაც შემსუბუქება მიეცა.

«ძაკაზის» რედაქცია სიხარულით ფეხზე აღარა დგას! ხომ მოგესხნებათ რომ თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის ყრილობაზედ დიდი ბაასი ასტყდა იმაზედ, ვინ უნდა დამტკიცოს ბანკის გამგებანაზედ შედგენილი ანგარიში—ზედამხედველმა კომიტეტმა თუ საზოგადოებრივმა კრებამაო. ამ საგანზედ კრედიტის კანცელიარიისთვის უკითხავს აზრი «ძაკაზს» და პასუხად მო-

ყველა ასე იყოს, მშშ მართლ დალოცობს საქართველოში ყოფილი განხორციელებული ეკონომიური და სხვა თანასწორობა. მაგრამ სინამდვილე სხვას გვიჩვენებს და ამისათვის «თავ-თხელობა» თავისას არ დაიშლის და არც იშლის.

ჩვენშიც, როგორც სხვაგან, ცხოვრებას ბევრი ნაკლები ენახება მოვლევება, ბევრი უსამართლობა მოქმედნება, (თავიდანვე) დაწყობილი აქამომდე ჩვენს ცხოვრებასაც წარმატება ჰქონია და ეს წარმატებანი გამოთქმულა, მით, რომ ნაკლები ენახება და უსამართლობა შევიწროვებულა და მათი აღივლი დაუჭერია უფრო სამართლიანს წეს-წყობილებას, მაგრამ ეხლავე ეს სამართლიანი წეს-წყობილება არ არის მთლად დაისრულებული და მისი დაარსება შეადგენს მხოლოდ ნეტარს წადილს და თუ ვრცელი ევროპიული პროგრესი უნდა იყოს ჩვენი წადილი, (მგონია, ამაზე უარს არ იტყვიან) თუ ამ პროგრესს მოითხოვს ჩვენი ხალხის ბედნიერება, თუ ეს პროგრესი არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა, მაშასადამე მისი (პროგრესის) დაარსება უნდა იყოს პირველი ჩვენი საგანი. ჩვენი წოდებრივი და სხვა გვარი ურთიერთობა როდი არის უკანასკნელი გამოხატულობა ნაჩვენების პროგრესისა. ჯერ

სელია, რასაკვირველია, საზოგადოებრივებამაო. მხლა იმაზედ ლაპარაკს არ აუტყვიათ—ვის უფრო შევჭერის ანგარიშის დამტკიცება, უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ბანკის წესდება ისე ყრუდ არის შესწორებული, რომ პატარა ხრიკები-გამოხარხარული კაცი, თავს გინდა ასე მოუქცევს, გინდა ისე. მართს პარაგრაფში პირ და პირ ნათქვამია რომ ზედამხედველი კომიტეტი ამტკიცებს ანგარიშს და ფინანსთა მინისტრთანა ჰგზავნისო, და მეორე პარაგრაფი კი ამბობს, რომ საზოგადოებრივებამ უნდა განიხილოს და დამტკიცოს ყოველი გადაწყვეტილება ზედამხედველის კომიტეტისაო. საქმე ეს არის—ანგარიშის დამტკიცება—გადაწყვეტილებაა უნდა პირველში ხსენებული პარაგრაფი უქმი იქნება, რადგან ზედამხედველის კომიტეტისაგან დამტკიცებული ანგარიში პირ-და-პირ მინისტრთან უნდა გაიგზავნოს და საზოგადოებრივებამ მხოლოდ მოხსენდეს.

მინ აურ-დაურია ასე ბანკის წესდება! იქნება არ დაიჯეროთ, რომ გითხრათ, იმავე კრედიტის კანცელიარიამ, რომელმაც წესდების დამტკიცების დროს ისე შესცვალა პარაგრაფები რომ ერთი მეორეს აღარ უდგება.

«ძაკაზის» რედაქცია კი გაუხარებია ამ კანცელიარიის პასუხს და არც გასამტყუნარია, რადგან ყოველივე კანცელიარიის წყალობა გულზედ მალამოდ უნდა მოეცხოს «ყმასა რადგან მართებს ყოფნა ყმურად», მაგრამ ჩვენ კი გვაკვირვებს კრედიტის კანცელიარი-

კიდევ ამ ბედნიერებას განათლებული მკრობაც მოცილებულია და ჩვენში რაღა უნდა იყოს. და ვანა აწინდელის ცხოვრების გაუმჯობესობა, ეკონომიურ სიმართლის დამყარება, საზოგადოებრივის თანასწორობის განხორციელება და სხვ. მაგნებლო და «თავ-თხელობას» მოასწავებს? ჯერ დამტკიცეთ, რომ საქართველოში უკვანის ერთხანად ზედმეტი ან ერთხანად ბედისგან დახარული ვართ და მაშინ მზა ვიქმნებით სხვა-და-სხვა მიმართულებას თავი დავანებოთ და მთლად მსხვერპლად შევწირეთ თავი ერთად ერთს მიმართულებას—მამულის შეილობას. ჯერ დამტკიცეთ, რომ ყველანი ერთს ბედს ქვეშ ვართ და მხოლოდ მაშინ სიტყვებით მოგვიწოდეთ: «საჭიროა ერთმანერთს ზურგი ვათხოვოთ, მკიდროდ ხელი ჩავხვიოთ და ძმურად გავსწიოთ ჩვენის ცხოვრების ჭაპანი.» ძმობაზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ სავალალოდ ძმური ურთიერთობა ჯერ ისევ ფიქციას შეადგენს, ჯერ კიდევ ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, «homo homini lupus est»; ჯერ ძმობა განხორციელეთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ გვიქვადეთ სხვა-და-სხვა მიმართულებას თავი დავანებოთ და ერთს უღელში შევევებათ. ნუ დაივიწყებთ თქვენ, ღირ-

რის—სხვა რომ არა ეთქვათ-რა—დაუფიქრებლობა, რომ ბანკის შესახებ საგანზედ, ბანკის გამგებანისა და ზედამხედველის კომიტეტის დაუკითხავად,—წერილებსა სწერს ბანკისათვის სრულიად უცხო პირს—«ძაკაზის» რედაქციას და გადაწყვეტილს პასუხს იძლევა იმისთანა საგანზედ, რომელსაც იმისავე წყალობით სიბნელე მოჰყენია.

ახალი ამბები.

ჩვენ ნამდვილად შეუტყუეთ, რომ არს ზირს, წერა-კითხვის საზოგადოებისთვის: «შეუწინავთ შოთა-რუსთველის და თამარ-დედათა დიდი სურათები. ერთს მათგანს შეუწინავს აგრეთვე სამწიკდალ წიგნის რედაქცია-კრუხისათვის საჭირო კლიშეები სურათების გადმოსაღებად.

თელავიდან გვწერენ რომ იქაც დიდის ამბით უდღესსწაუღნათ სულმწიფის იმპერატორის გვირგვინის კურთხევა. თუმცა ქუჩებში დიდი ხალხი ტრიალებდა და მინარელობდა, მაგრამ უწყსობა მინც სრულიად არ მომხდარა-რა, არც ჩხუბი, არც ქურდობა. ასეთის წესიერების დაცვისათვის უნდა ვუმადლოდეთ, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციას და დეპუტატებს, ისე ამ საგნისათვის ამოწმებულს სუთს პატრულებს მაქალაქისაო.

დაბა ნიდანა გვწერენ რომ თუმცა მისი ხიდის გასაგებებლად, როგორც გვიტყვენ, სახელმწიფო ფული გამოვიდაო, მაგრამ ვაჭები არ მიუღია ქვემო-რეის ხალხს, რომელმაც რც-და-ათის ვერსტის მანძილზედ მოხიდა, რაც ამ ხიდის ბურჯებს ჰქვას დასჭირდაო.

სეულნო და ბრწყინვალე გვანბო, რომ შრომის მონას, რომელიც მუდმივ რაფის ღირის და გულისკენ ერთ მოსთქვამს:

ერთს ბედს ქვეშ ვართ, დაბავ, შე და შენ, წილად გავრგუნეს შავი მიწა ჩვენს მამულის შეილობის გარდა სხვა ბევრი რამე სადარდელი და სანატრელი აქვს. თუ ეს ასეა, მაშ საერთო ჭაპანთან სხვა ჭაპანიც საჭიროა... ბანა ეს არ გესმით?!

საერთო ჭაპანი, რომელზედაც მიგვითითებენ ჩვენი ვაჟ-ბატონები, არის მამული, სამშობლო... მართლაც და—რა მალა-კეთილმობილური საგანია! მამულის შეილობა ყოფილა და საუკუნოდ იქმნება საღმთო მოვალეობა განურჩევლად ყოველის ხალხისა და კაცისა. მოველთვის და ყოველი ამ მოვალეობას აღვიარებდა აი თუნდა ჰორაციოდგან დაწყობილი, რომელიც ამბობდა:

«Dulce et decorum est pro patria mori.»

ჩვენს პოეტამდინ—
«ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათროლოდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა სწიშს, არ დაჰსთხოოს თვისი სისხლი, არა დაჰლას თავი თვისი, შენ დიდებულ, ვითა მსხვერპლი!»

სამტრედიდამ უხვიან იქაურ რკინის გზის სტანციის გამგებანაზედ ზარს—მეტი სწიშლად მეტის-მეტად ცუდად კვიდებაო.

თუმცა სამტრედიის და ბათუმის შუა რკინის გზა 23 მასის გაისხნა, მაგრამ, როგორც იქადამ ჩამოსულებს გვიამბეს, ზოგერთ ჭაბობან ადგას მატარებელი ტლანში მიდის და სწიშს-რიც არის ამ გაუმჯობესებელ გზაზედ სარულიო. თუმცა რკინის გზის გამგებანა გვიბრდება ხელ-ხელა შევასწორებთ ამ გზასაო, მაგრამ ვაი თუ ამ დაპირებულის შესრულებამდის ჩვენ ჩვენს დაგვიმათოროსო.

„Московскія Вѣдомости“ კვამს უძღვნეს მთელი წერილი იმ ხალ ცვლილებას, რომელიც უნდა მოხდეს ჩვენის მხრის გამგებანაში მომავალ კათათვის პირველის რიცხვიდან. აქამდის ვაკვასია ჰგანდა რადაც ვატარა სახელმწიფოს, რომელიც თავის თავს თითონ განაგებდა და ძლიან მოგვავტებდა. ვოლმას ამ რცი წლის წინად, ავანუებამდე. როგორც მაშინ ვოლმის სატასტრა ქალაქი იყო ვარშავა, ისე ვაკვასიისთვის იყო თბილისი, აქამდე ვაკვასისზედ მთლად მომარებული იყო სამინისტროების გამტეობა; თითქმის ადმინისტრაციის უკვლას ნაწილისათვის იქ თავთავისი წერილი სამინისტროება იყო. შეტარებულში შეიძლებადა სხვა ვოლმისთვის შეხედულობა ყოფილიყო რომელიც სავსის შესახებ და შეტარებულში სხვა.

უნდა სინარელოთ მიუკებოთ. ამ განცხადებებზედ მდგომარეობის მოძღვას ვაკვასისში, რადგანაც ეს სახეზეელი იყო, როგორც მთელი სახელმწიფოსთვის, ისე თვითონ ვაკვასიისთვის.

მაგრამ მამულის შეილობას წინ და უკან უნდა მისდევდეს აწინდელი მკრობის პროგრესიული პროგრამის შესრულება, რაში მდგომარეობს ეს პროგრამა, მკითხველიმ თითონ უნდა იცოდეს. ჩვენ მხოლოდ აქ იმას ვიტყვი, რომ მართლ მამულის შეილობა არ მოანიჭებს ჩვენს ხალხს სრულის კეთილ-ღღობას. მით ხალხი, მისი უმრავლესობა მაშინ მისცემს ბანს ჩვენს მამულის შეილობის მსიმღერას, როდესაც ეს უკანასკნელი თავის ვიწრო გვემას მოქმედებისას ვააფარებთ თოვებენ; დიდს წრეს შემოაუხანებენ თავიანთ ასპარეზს და ხალხს გულში დაუწერებენ ახალ იდეალებს. შამისოდ მამულის შეილობა თავის მიმზიდველს ძალას დაჰკარგავს და მართლ ერთი მუჭა მწერლებს საყურებდად გარდაიქცევა. სულ-სხვა შედეგი იქმნება, თუ კი ჭეშმარიტად და პირუთენელად მისწავლეს ჩვენს ხალხის საჭიროებანი, თუ კი შეიგნებენ—როგორი მერმისი და მომავალი უნდა წინუძოდეს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ამაზე სრულიად არა ჰფიქრობენ, ან თუ ჰფიქრობენ, ისე ცოტას, რომ სათქმელიც არ არის.

ბატ. მლ. მიქელაძეს «შესანიშნავე, დიდად დასაფასებელი ხასიათად და ნიჭად ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაში» მიჩნია ის ნიჭი და ხასიათი,

როგორც „Московскія Вѣдомости“-ში დაკარგულს, სომხებს მომავალი პარტიის სპეციალური სასწავლებელი გადურს შემოეყარება და შიგ მოუყოლებინა.

რუსულ განუთქმობი კითხვებით თბილისიდან გაგზავნილ ტელეგრაფის: სომხების მხარესში ჭიდაჭისა გამოხე- ნილანა!

პეტერბურდის განუთქმობი გან- ნობებენ: მანძიასტის წყალობით იქაური სახეობალებიდან, ბათის-ხუთას კაცამდენ განუყოფიან.

დაუმსადებიათ ახალი პრეპტი მინდობების და მათი ცრადშეიღის პენ- სისა. ამ პრეპტს მომავალს ბენისში შეატანენ მინისტრთა კომიტეტში და- სამტვიცებლად.

Русскій Курьер-ი განუ- ნობებს რომ ჯერჯერს სამინისტროში განუძახავთ ევლად რანის გზებზედ გა- ზავნილს მატარებელს უთუოდ თან გას- ყოფილს ხელმე. თათო სასაგათოეო გან- ნის, სხად დაწვენს დადმოუთებს, ან განუხად დაკადილებს, თუ ვინცობაა უბედურება მოხდა. რასაკვირველია ამის- თანა განუხადებს. თან ევლადებთ თავიანთი ექიმები და წამლებიც.

თუჯრის მოყვარულებისათვის კარგი ახალი ამბავი! მოსკოვის არტისტებს განუ- რანავთ ივნისის განმავლობაში წარმოდგენები გამართონ თბილისის საზაფხულო თეატრში, თუ ამონემენის ფელმა ხარჯი დაჭვარა. ამ წარმოდგენებისათვის აპირებენ თურმე მოსკ- ლას მოსკოვის საუკეთესო არტისტები და არტისტები; ფედოტოკისა, ერმოლოვისა, არაგ- დინი და სხვ. წარმოდგენები დაიწყოთ ივნის- სის დამდეგს. ამონემენის აღება თუჯრის კასში შეიძლება; თუ ვინცობაა ამონემენება,

რომლის ძალით სერგეი მესხი «ახ- ლოვებდა სხვა-და-სხვა მომქმედ მა- მულისშვილებს, ათახსმებდა წინააღმდეგ მიმართულებებს. ამ გვარი ხასიათი და ნი- კი დიპლომატის საქმეა ვიდრემდის გან- ვითარებულის მამულისშვილსა. ზერ იმას ნუ დაივიწყებთ, რომ თუ კი მართლაც ჩვენში წინააღმდეგი მიმარ- თულებანი არსებობენ, მათი, შე- ერთება სამუდამოდ, თუ არ უზე- ნავს გარემოებათა წყალობით ყლ- ვლად შეუძლებელი საქმეა, და თუ როგორმე რაიმე ძალის მეოხებით მოხერხდა ეს სამუდამო შეერთება, მაშინ ჩვენში მიმართულებანი კი არა ყოფილან, არამედ წარაზენი, ცარიელ სიტყვების რანა-როხნი. რომელი რე- დაქტორი—დიპლომატი შეაერთებს, მაგ., ბატ. მაიაშვილს და პ. შმიკა- შვილს? თუ ეს შეერთება მოხდა, მაშინ ჩვენ არც მიმართულება გვეკო- ნია, არც ლიტერატურული რწმენა და არც სხვა რამე; ჩვენ ყველანი მა- შინ რეპეტილოვები ვყოფილვართ, ზალარეცკებნი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხომ ბატ. მიქელაძე აბსურდს უძღვის მკითხველებს, რომელთაც სრული უფლება აქვსთ მას უპასუ- ხონ: «credo quia absurdum!» ნუ დაივიწყებთ, რომ სადაც წინააღმდე- გი მიმართულებანი მოიპოვებინ, იქ აუარებელი ჩიხვი გულ-წრფელ მა-

მონდა არ დაჭვარა ფული ამონემენის ამღებთ უკან დაუბრუნდებით.

„Новое Время“-ს უანგარიშნა, რომ გვირგვინის კურთხევის გამო ათი ათასამ- დე პარმა მიღო სხვა და სხვა ორდენი. იმ- პერატორის ალექსანდრე მეორის დაგვირგვი- ნების დროს კი მხოლოდ ოთხი ათასამდე პი- რი დაჯილდოვდა.

მოკლე ფელტონი.

დღეს, ჩვენს განუთქმობი, დაბეჭდილი წერალი შეეხება იმ უკუღმართობა, რომელზედაც რედაქციასაც მიუქცე- ვია ყურადღება. მართლაც და, რუ- სეთში ან მერობაში თუ ვინმე «ბე- კახსა» კითხულობს, ვინც ჩვენის ცხოვრების უმეცარია, უნებურად იფიქრებს: ან ქართველები აღარსადა ღვიან და იმათი ალაგი სულ არა- განკის მკითხველებს დაუკავებიათ, ან არა და შოთას შთამომავალს ტვი- ნი მთლად დაჭეუტურობია და გო- ნებითი ცხოვრება მთლად შეწყვეტი- ლა. თუმცა ასე იფიქრებენ, მაგრამ იმაზედ კი არა ვის დავეთანხმები, რომ «ბეკახს» უკუღმართობა გან- საკუთრებით საკვირველი და საძრა- ხისი იყოს იმიტომ, რომ რედაქტო- რი ქართველია. «ბეკახმა» კიდევ იმიტომ შეაქცია ზურგი ქართულ ცხოვრებას, რომ რედაქტორად ქარ- თველი კაცია! მს სისულელე არ გე- განოსთ და მე გაკვირვებული ვარ, რომ ეს უბრალო მოსაზრება თავ- ში არ მოგივიდათ, როდესაც ბ. ლ. მრისთავს «ბეკახის» რედაქტორობას აძლევდენ. აწ და სამარადისოდ იცო- დეთ, რომ როდესაც ქართველს კაცს აბარებენ იმისთანა ალაგს, ანუ თანა- მდებობას, სადაც იმას ბევრი შეუძ-

მულისშვილებისა მოიძებნება. პილეთ, თუ გნებავთ, რუსეთი. მანა ლიტე- რატურული ბრძოლა უშლის მამუ- ლისშვილების გამრავლებას? საკვირ- ველი და საოცარია, რომ ბატ. მი- ქელაძეს რაც სხეებისათვის სასარგებ- ლოდ მიაჩნია, იმას იგი ჩვენთვის შევენებლად რაცხს. ნიჭიერს ახალგაზ- და მწერალს, რასაკვირველია, კარგად ესმის—თუ რა სასარგებლო ნაყოფი მოაქვს სხვა ხალხისათვის ლიტერა- ტურულს «სასტიკს თავ-განწირულს და მკაცრს ბრძოლას». მაგრამ ეს ბრძოლა ჩვენ დაგვასუსტებსო, რად- განაც დროთა ვითარებამ ჩვენ სულ სხვა მდგომარეობაში ჩაგვყენაო. არა, ბატონებო; ამ გვარი ბრძოლა არა- ვის არ დაასუსტებს; არა თუ არ დაგ- ვასუსტებს, არამედ უფრო აღგვამო- ლებს, სულით და გრძობით განგვა- ვითარებს. სასტიკი ლიტერატურული ბრძოლა შედეგია ხალხის გონების წარმატებისა და საჭიროა ეს ბრძო- ლა ჩვენშიც მალე დაარსდეს. მინც ამ ბრძოლას აღორძინებას უშლის, ის მტერია ლოგიკისა... თუ ესლა ჩვენში ამ გვარი ბრძოლა არ არის, ეს მხოლოდ ჩვენს გონებითი სილა- ტაკეს გვიჩვენებს. თუ ლიტერატურული ბრძოლა არა სურთ პოლიტიკური მიმართულების მომხრეთა ეს იმიტომ, რომ განხეთ-

ლიან გააკეთოს, იქ სრულიად აღარა გაკეთდებარა. იქ ქართველი მაშინვე სხვა ყველასთვის მამად გარდაქცევა და თავის მოძმეთათვის მამინაცვლად. თუ კაცი ჩაყრილ-ჯამისკენ თავ-პი- რის მტრევეთ მიიწევს, ცხადია, რომ იმას კი მადა აქვს და თუ ერთხელ ამ ჯამ მოუყვავა, ეცდება, რომ აღა- რავინ ააყენოს. ის ქართველებიც, რომელნიც იმისთანა «ქერის ორმო- ში» ჩაყვირან ხოლმე, როგორც «ბეკახის» რედაქტორობა, ან სხვა ამ გვარივე, კოწიწით ზედ მოეკი- დებიან ხოლმე. ის გემრიელი ლუქმა, რომ არავინ გამოაცალოთ, პირვე- ლი ცდა იმათი ის არის, რომ არა- ვინ შესწამოთ «ქართველობა». თუ შემთხვევა მიეცათ, კიდევ გასტეკყამენ თავიანთ მოძმეს, რომ სხვას მაგალი- თი აჩვენონ და ამისი თქმის ნება ჰქონდეთ: აი თუ ქართველებს ვუდ- გებო! მს უცილო ჭეშმარიტება გა- ხლავთ, ჩვენი ცხოვრების მრავალი მაგალითებიდან გამონასკული. «ბე- კახის» რედაქტორს კი ტყუილი ჭა- პან-წყვეტა აქვს, ღვთის წინაშე, მე ისეთს ნიშნებსა ვხედავ, რომ, განგე- გებათა ღვთისათა, იმან თავის დრო- ზედ ამ გაშლილ სუფრიდამ აბძანება უნდა იწებოს. მაშა სადამე, «არა- განაკება» და მზგზავთა მუდმივი არ- შიყობა და ჰაერით კოცნის გზაფნა სულ ამაოდ ჩაივლის. წყალი წავა და წამოვავ, ქვიშანი დარჩებიანო» და კაცი სადაც არს დაბადებული, იქვე ჩავა საფლავსა! ძილვე, მაშა სადამე, ბ. ლ. მრისთავს ის ურჩვენია, მინამ შემთხვევა ხელს აძლევს, «კვიციკა ჰხედნოს და მამიდაც» ხშირ-ხშირად ნახოს ხოლმე.

ქილება არ ჩამოვარდეს წოდებათა შორის და საზოგადო საქმე (მამუ- ლისშვილობა) არ დაიკაროს, არ დაიფუშოს. ძილვე ამისათვის გვირჩე- ვენ ისინი ყველანი ერთად შევიკრიბ- ნოთ. მათ სხეში აქვსთ განსაკუთრებუ- ლი მდგომარეობა ჩვენის სამშობლოსა. მარგი და პატიოსანი, მაგრამ მწერ- ლების დას-დასად დაყოფა როდი ნიშ- ნავს წოდებათა შორის განხეთქილე- ბის შეტანას; ეს დაყოფა მოასწავებს მხოლოდ პრინციპიალურს ბრძოლას, რომელსაც ერთი და იგივე საგანი აქვს—სამშობლო. ამგვარ ბრძო- ლების გამოკვლევა, უკეთესია იდეა- ლების გაგრეცლება ხალხში, განხეთ- ქილება მაშინ იქმნება, მწერლობა კურდღლობა რომ იყოს. მართალია, ესლაც ბევრსა ჰგონია, რომ მწერ- ლობა ყოფილა და არის მიზეზი ყო- ველგვარ ბოროტებისა, მაგრამ შეის- წავლეთ მწერლობის ისტორია და მა- შინ დარწმუნდებით, რომ იმას მარ- ტოდ-მარტო ძმობის და მშვიდობა- ნობის მეტი არა უთხოვია-რა. ჩვენ- ში არავის არა სურს—ერთი წოდება მეორეს წაჰკიდოს, ჩვენში წოდებრივი უკმაყოფილება არავის სწადიან. და თუ ლიტერატურულ ბრძოლას თან მოს- დევს ცხოვრების ძველის ფორმების შემუშავრა, იმ ფორმებისა, რომელ-

დღევანდელს ახალს ამბებში «მოსკო- ვის უწყებებიდან» მოყვანილს ამბავს წა- იკითხავთ, თუმცა ეს ჩვენ დიდი ხნით აღ- რეც გვექნდა შეტყობილი. მრავალწე- ნოთ: ერთხელ, როდესაც სიფთავი უნდა ტრობა ყოფილა, რომ სიფთავ ველარ აუღიათ, დამსხდარან ჩვენი ზეო, არუ- თინა, მიკირტუმა და სხვ. და გადა- უწყებით: რადგანაც ჩვენ იმისთანა პატიოსანი და წარჩინებული ხალხი ვართ, რომ ამ ჭუჭყიან ქვეყანაზედ ცხოვრება არ შეგვიძლიანო, მოდი მაშ ცაში გადავსახლდეთო. შევლას მოსწონებია, მაგრამ რომ ცის სიერ- ცეზედ არ დავიქსაქსოთ, უნდა ვხლავ ალაგი ამოვიჩიოთო. მაშინვე დაზ- გაზედ ერთი თაბახი ქალღიდა გაუშ- ლიათ, მაყალიდამ ნახშირი აუღიათ დაუხატავთ ჯერ ცა და მერე თავიანთ სამფლობელოსთვის ხაზი შემოუსვიათ. ამ ხაზში სამოთხეც შიგ მოუყოლე- ბიათ. მა, მაშ ვინ უნდა შავიდეს სა- მოთხეში, თუ არ მიკირტუმა! საქმე გათავებულა. მხლა დაბრკოლება იმა- ზეა, რითი მნდა აფრინდენ ცაში? მაგ- რამ ფუქრი არ არის: მიკიჩა ჭკვიანი კაცია, ერთი იმისთანა რამე „შტუ- კას“ მაიგონებს, რომ მთელი თავის „სემისტიო“ სულ შიგ ჩაეტიოს და ცამდე გრიალი აიტანოს. მსქეთ, მართლა ცამდინაც ავიდენ, მაგრამ რატომ იმას კი აღარა ფიქრობენ სამოთხის კარებში, რომ ცეცხლის მათრახით ხელში მთავარ-ანგელოზი დაუხვდებათ, ის შეუშვებს თუ არა? ***

რამდენიმე ხნის წინად ვიხუმრეთ, რომ რადგანაც ბათუმის რკინის გზა თავით ბოლომდე სულ კუკუევი ყო- ფილაო, მხოლოდ იმ პირობით გა- ინსნება, რომ ყოველ მატარებელს ნიც სასარგებლონი არიან მარტო მკირედის ნაწილისათვის და არა მთე- ლის ხალხისათვის—ეს მიუცილებელს საქმეს შეადგენს და უამისოდ არც ხალხის წარმატება შეიძლება. მართა- ლია, ზოგიერთებს არ მოსწონთ სი- მართლის და ჭეშმარიტების განხორ- ცილება ხალხის ურთი-ერთობაში, მაგრამ თვით ცხოვრების წარმატება ამას ითხოვს და თუ გსურთ ბედნიერი მომავალი სამშობლოსათვის, ამ წარმა- ტების გზას უნდა დაადგეთ. და ეს წარმა- ტება ხომ არა ნიშნავს განხეთქილებას, მტრობას... ცხოვრების ყოველგ ვარ- ფორმას ისტორიული უფლება აქვსო, თვითოველს წოდებას ისტორიული სა- ბუთები უჭირავსო, იტყვიოთ თქვენ: ღიალ; ბატონებო, მაგრამ ხალხის წარმატებასაც თავის უფლება და სა- ბუთები აქვს, თავის ისტორიული სი- მართლე. მისაც გულში უღვივის სი- ყვარული ხალხის წარმატებისადმი, ის რალაც გაუგებარ განხეთქილებას არ მოგრიდება, თუ კი მართლა ლიტე- რატურული ბრძოლა ნიშნავს გან- ხეთქილებას და ჭეშმარიტების ქადა- გებას შესწირავს თავს. იქმნება თქვენ „ბედში მყოფ“ წოდების მეგობრები იყვნეთ, მაგრამ გარწმუნდით ის ემჯო- ბინება, რომ ჭეშმარიტებას დაუშე- გობრდეთ. Amicus Plato, sed magis ami- ca veritas! 5. უბნელი. გორი, 24. მაისი.

უნდა თავისი ლაზარეთი და ექი-
მი აფთექით თან მისდევდეს. * რო-
გორც დღევანდელს ახალ ამბებში
წაიკითხავთ, ჩვენი ხუმრობ-
გამართ-
ლებულა და ეხლა არამც თუ მარტო
ბათომის რკინის გზაზედ, ყველა გზებ-
ზედ მატარებელს უთუოდ თავისი
ლაზარეთი თან უნდა მისდევდეს, მაგ-
რამ მარტო ლაზარეთი და ექიმი არა
კმარა; ჩვენი ფიქრით მატარებელ-
ზედ უთუოდ უნდა იყვნენ კიდევ-
მღვდელი, პატერი, ტერტერა, მო-
ლა და ხახამი, რომ დამტვრეულ
მოგზაურებს თავ-თავისი სარწმუნოე-
ბის შესაფერი წესი აუგონ ხოლმე.
ახლა, რომ, რკინის გზით მოგზა-
ურობა და რამში შესვლა ერთი ყოფი-
ლა: მაშ როდესაც რკინის გზით მო-
გზაურობას აპირებდეთ, გამოეთხოვეთ
ხოლმე ყოველს თქვენს მოკეთეს,
იმარხულეთ და ზიარებაც მიიღეთ.

სასაცილო მდგომარეობაში ჩაეარ-
დება ხოლმე კაცი, როდესაც ის გა-
ტაცებული გელაპარაკება და ვიამ-
ბობს, ვითომ ახალს, იმისთანას რა-
ლასაც, რაც შენთვის დიდი ხანია და-
ძველებულია. ამისთანა სასაცილო
მდგომარეობაში ჩაეარდნოდა «ჩრდი-
ლოეთის ტელეგრაფის სააგენტო». ახალს
ამბებშივე წაიკითხავთ, რომ სო-
ხუმის მან. ფილოქსერა გაჩენილა. ბატონებო,
ეს ხომ დაძველებული ამ-
ბავია! მალე წაიკითხავთ. მაშ ამის-
თანა ახალ ამბებს: ძავეკასიაში მალა-
ლი მთები ყოფილა; იალბუზზედ
თოვლი არა დნება და სხვანი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორ!

მე რადგანაც ჩემს სამშობლოდამ ცო-
ტა დაშორებული ვასწავარ და ყველა-
ფერი კი მინდა ვიცოდე ჩემს ქვეყნის
დღიურის ცხოვრებისა, ამიტომ ყოველ
დღე გასეთს გაფიცვებითა ვითხულობ.
რადგანაც შეძლება არა მაქვს რამდენიმე
გასეთი ერთად დაეხარა, მე მარტო
„კავკასი“ ვიბარებ. ვინც ჩემსავით გულ-
მოდგინედ ამ „შთამომავლობით ჰოე-
ტის“ გასეთს ვითხულობს, ის უთუოდ
იმ დასკვნაზედ მივა, რომ საქართველო-
ში ან სულ ქართულს ენაზედ არც ერ-
თი გასეთი არ გამოდის, ან არა და
იმათში არაფერი ყურადღების დიხსნი
არ იწერება: ისე არ გადაძლი „კავკასი-
ზის“ ფურცელს, რომ აჭრელებული არ
იყოს „მშავით“ „არმაზანით“, „მე-
ღუ ქაიხურა“ და სხვ. რითი აიხს-
ნება „კავკასი“ ესრეთი შემოწმობა
ქართულის საქმეებისა? „კავკასი“ მარ-
თულობის გასეთია, რომელმაც უნდა
გააწინოს ჩვენი მხარე როგორც მართებ-
ლობის ყველა განმძახვასთან, განონთა
ცვლილებასთან და სხვ; ისე ჩვენს განსხ-
ვავებულ ცხოვრებასთან გააწინოს რუსის
საზოგადოება. რაღა გავაგრძელო?

თქვენი უმორჩილესი წ. დ—გი.

თემირ-ხან-შურა
16-ს მაისს.

კერძო სანავადმოყოფო

აუგიაში, სემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი
ავადმოყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდან 10¹/₂-მდინ ნა-
ვასარტიანც—სირუგოულ და ვენეროულ
ავადმოყოფისა და რუდკოვსკი—ქაღის,
უმწვილის და შინაგან ავადმოყოფ.; 10¹/₂
საათიდან 12 საათ. შინა-აზიზ—შინა-
გან ავადმოყოფისათვის. 12 საათიდან
1 საათ. თვალის ავადმოყოფ. ლარიო-
ნოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს
გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

სალამოს: 5 საათიდან 7-მდინ შშა-
კოვი—უმწვილების და ყელის ავადმო-
ყოფა. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შა-
ბათობით. ნურგების, შისიხურ ავადმოყოფ.
და ელექტრო-ტერაპიისა—პრუთინოვი
მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბიე-
ვი სამშაბათობით და შაბათობით, სა-
ზოგადო კონსულტაცია ექიმებისა
სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ.
8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რევიესათვის—50 კაპ., კონ-
სულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფა-
სოდა.

საავადმოყოფოს დირექტორი
მ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმოყოფოში დგას).

საავადმოყოფოში ამ მოკლე ხანში გაი-
ხსნება წყლით საექიმო განყოფილება
ექ. ტელაქოვის სელმძღვანელობით.

განხილვანი

საშვალო სასწავლებელ-ან-
ლად-შესრულებულ ემაწვილ კაცს
სურს ამ საფხულ აძლიოს

ბაკვეთილიაი ძლიერ იავ ფასად
მსურველთ შეუძლიათ თავიან-
თი ადრესის დატოვება ექ. ხე-
ლამის სტამბაში. (5—2)


რომელთაც ჩემს სამღებრო «დე-
პოში» მოუტანიათ შესაღებათ სხვა-
და-სხვა ნაირი მატერიალი, ამ ერთის
წლის განმავლობაში და ჯერაც არ
წაუღლით, ვთხოვთ, რომ ამ ერთის
თვის განმავლობაში, ე. ი. 1 თიბა-
თეიდან ვიდრე 1 კათათემდე წაი-
ღონ, თუ არა და იძულებული ვიქ-
ნებით ვაყვილოთ.

ჩემი მალაზია იმყოფება ბანოვის
ქუჩაზედ მარიბოვის სახლებში.
(2—2) განო ბუხარაშვილი.

ბამოცდილი კუმისის გამკეთებელ-
ნი ალიევი და მმაროვი, რომელ-
თაც საკუთარი საკუმისო აქესთ მლა-
დიკავაზში და როსტოვში მიაკცევენ
ქიმების ყურადღებას ნამდვილ ფაშა-
ტის ცენის კუმისზედ. კუმისი ისყი-
დება დღეში 150—200 ბოთლი.
შოვნა შეიძლება ზამლინსკისა, წუ-
რინოვისა და ბეინეს აფთიაქებში.
(3—2).

უკალერეკი თარგმანი
აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით
ძმათა ტარნოპოლების
ქარხნის ადრესი საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბა-
ლოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.
ხარდათ მუდგველთ დაუთობათ. (40—10)

ინგლისის მალაზიაში
თიის-სამოაზანი  **გამ-მასტარი**
ამაგრებს თმას და ადრინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-
სა 2 მან., გავაზანით 2 მანეთი
და 28 კაპ.
(100—78)

საკლავოს კალმები 
რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსკვილ, უსუფთო ქაღალდი, ერთად-ერთი
სასაგენტო—ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა ვერისა კალმები,
ყოველს „სელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,
განვერტები, რეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაყინები, შორტ-
სიგარები, ალბომები, რამები, მაკრატლები, სამართებლები, სახთელი, საღესი,
ცანაშები ჭურჭლების საწმედად (ბორაკი), თეთრეულისათვის, შატარა საღები
იატავისათვის კლიონები, ტანტები, სავარდლები, სარკები, სავარცხლები, ბეშე-
ნნი, ზარები, ბინოკლები რუფეტები, ვატერპასები, მისი-სათები, ვომპასები,
ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მანატები, სვისტოკი, შომოხი, ქამრები,
სარტყლები, საყელური, შრობები, საშრობები, კრანები, ფილტრები, შორტები
თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტის მავინტოები, კრავები, საქიმო
ქაღალდი ვატერ-კლონებისათვის და სხვ. და სხვ.
პატაში—20 კ. (100—17)

ინგლისური რკინის კრავოტები 
ერთ საწოლანს 8 მ. და ორ საწო-
ლანს 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის
ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს
მალაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ
სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-
ჩანგალი, გოგუბი, ფანდოსები, კლიტე-
ები, საფანგები, რკინის კალმები, ქა-
ღალდი, ნინები, რეოლკები, თოფე-
ბი, გაცისა და ქაღის უნაგირები, ალბო-
მები, კლონები, ჩაი 1-ლის ხარისხი-
სა. (100—66)

რკინის გზა
თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდან ხაშურისკენ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

ინგლისის მალაზია
Maison de confiance
შეადარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ. 1 მ. 40 კ.
— — 1—20 — — 1—60
— — 1—40 — — 1—80
— — 1—60 — — 2—
— — 1—80 — — 2—50
საუფეთესო 2 — — 3 —
იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-
ფები, რეოლკები, კრატები, ჭურ-
ჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები,
გოგუბი, ტანტები, კალმები, ქაღალდი,
შოკოლადი, კავა, კანფეტები, მურაბე-
ბი, მანგონა, უნაგირები, კლიონკა,
წინდები—ვაცის და ქაღის, ხელ-სახო-